



ENPARD: A European Union Programme supporting Agriculture and Rural Development



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტრენინგი ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვის საფუძვლებში

ანგარიში მომზადებული ბიზნეს სერვის მიმწოდებლის ა(ა)იპ „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაციის“ მიერ

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს პოტენციალის გაძლიერება

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი

ევროკავშირის სამეზობლო პარტნიორობის პროგრამა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD)

Europe Aid/136454/DH/SER/GE

<p>პროექტს ახორციელებს</p>   	<p>ბიზნეს სერვის მიმწოდებელი: ა(ა)იპ „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაციის“</p>
---	--

2016 წლის დეკემბერი

წერილობითი უარი პასუხისმგებლობაზე

“წინამდებარე ანგარიში მომზადდა ევროკომისიის ფინანსური დახმარებით. ამ ანგარიშში გამოხატული შეხედულებები ეკუთვნის კონსულტანტს და შეიძლება არ ასახავდეს ევროკომისიის შეხედულებებს“

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია	3
ტრენინგის მომზადება	4
მონაწილეები.....	7
დარიგებული ტრენინგის მასალები	7
რეგისტრაციის ფორმა.....	7
საბოლოო ცოდნის ტესტები.....	7
ტრენერის ანგარიში.....	7
დანართი #1: ტრენერის ანგარიში (ელექტრონული ვერსია ინგლისურ და ქართულ ენაზე)	8
დანართი #2: ტრენერების მიერ ჩატარებული ტრენინგების თარიღები, ტრენინგების ჩატარების ადგილი (მუნიციპალიტეტი), მუნიციპალიტეტების მიხედვით ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა (ელექტრონული ვერსია ინგლისურ და ქართულ ენაზე)	8
დანართი #3: ტრენინგის სასწავლო გეგმა - Curriculum ((ელექტრონული ვერსიაა ქართულ ენაზე)	8
დანართი #4: სახელმძღვანელოები საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის საფუძვლებში (ელექტრონული ვერსია ქართულ ენაზე).....	8
დანართი #5: უნიფიცირებული სააღრიცხვო ფორმები (ელექტრონული ვერსია ქართულ ენაზე)	8
დანართი #6: ტრენინგ პროგრამაში მონაწილე კოოპერატივების და მათი წევრების სია რაოდენობა (ელექტრონული ვერსია ინგლისურ და ქართულ ენაზე).....	8
დანართი #7: საბოლოო ცოდნის ტესტი (ელექტრონული ვერსია ქართულ ენაზე).....	8
თანდართული დოკუმენტი #1: ორიგინალი დასწრების სია ხელმოწერებითურთ	8
თანდართული დოკუმენტი #2: ორიგინალი რეგისტრაციის ფორმები	8
თანდართული დოკუმენტი #3: ToT ტრენინგის ორიგინალი დასწრების სია ხელმოწერებითურთ	8

ზოგადი ინფორმაცია

2016 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში ა(ა)იპ „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაციამ“ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ჩაუტარა 5 დღიანი ტრენინგის კურსი „ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვის საფუძვლებში“. სულ ჩატარებული 5 დღიანი ტრენინგების რაოდენობამ შეადგინა 32, ტრენინგებს დაესწრო 224 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ხოლო ტრენინგზე დამსწრე კოოპერატივების წევრების რაოდენობამ შეადგინა 410.

ცხრილი #1: ჩატარებული ტრენინგების განაწილება რეგიონების მიხედვით

#	რეგიონი	ტრენინგში ჩართული მუნიციპალიტეტები	ჩატარებული ტრენინგების (ტრენინგ ჯგუფების) რაოდენობა	ტრენინგზე დამსწრე კოოპ-ების რაოდენობა	ტრენინგზე დამსწრე კოოპ.-ების წევრების რაოდენობა
1	კახეთი	თელავი, საგარეჯო	3	22	37
2	ქვემო ქართლი	ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა	6	38	59
3	შიდა ქართლი	გორი	1	17	32
4	სამცხე-ჯავახეთი	ასპინძა, ახალციხე	6	41	81
5	იმერეთი	ვანი, ხონი, სამტრედია, აბაშა	5	27	54
6	რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	ონი, ამბროლაური, ცაგერი, ლენტეხი	7	54	103
7	აჭარა	ბათუმი, ხელვაჩაური, ქედა	4	25	44
		ჯამი:	32	224	410

ჩატარებული ტრენინგ პროგრამის მიზანს წარმოადგენდა კოოპერატივის წევრებისათვის ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვის საფუძვლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გაცნობა და სწავლება, ასევე ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვის მხრივ კოოპერატივებში არსებული სიტუაციის შესწავლა და პრობლემატურ საკითხებზე ინდივიდუალური კონსულტაციების და რეკომენდაციების გაწევა.

ტრენინგის მომზადება

1. ფინანსური კონსულტანტების შერჩევა და „ტრენინგი ტრენერებისათვის“

„ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვის საფუძვლებში“ ტრენინგ პროგრამის დაწყებამდე ასოციაციის მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შერჩეული იქნა კვალიფიციური ტრენერების (ფინანსური კონსულტანტების) შესაბამისი კონტიგენტი. ტრენერების შერჩევასა ყურადღება გამახვილდა, როგორც მათ პრაქტიკულ გამოცდილებაზე სოფლის-მეურნეობის სექტორში, ასევე თეორიულ გამოცდილებაზე, კერძოდ გათვალისწინებული იქნა ტრენინგების/ლექციების ჩატარების გამოცდილება, შერჩეული კონსულტანტების ძირითად კონტიგენტს წარმოადგენდნენ მთავარი ბუღალტრები და აუდიტორები, რომელთა შერჩევა განხორციელდა „საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“, მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების და ასოციაციის ჩართულობით. საწყის ეტაპზე შერჩეული იქნა 11 ფინანსური კონსულტანტი, რომლებისთვისაც ასოციაციის მიერ 2016 წლის აგვისტო-სექტემბერში, ქ. ბათუმში, გონიოს დასახლებაში ორგანიზებული იქნა 5 დღიანი (30 აგვისტო-3 სექტემბერი) ტრენინგი ტრენერებისათვის - „კოოპერაციის საფუძვლებში“, რისთვისაც ასოციაციის მიერ დაქირავებული იქნა სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ მიზნობრივი პროექტების სამსახურის უფროსი დავით მამუკელაშვილი. ტრენინგის პირველი 4 დღე დაეთმო კოოპერაციის საფუძვლებს, რომლის დროსაც ფინანსური კონსულტანტები გაეცნენ შემდეგ 4 მოდულს:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საფუძვლები
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ორგანიზაციული განვითარების ციკლი
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საორგანიზაციო აუდიტის მეთოდოლოგია
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამართლებრივი რეგულირება

ტრენინგის მეხუთე დღე დაეთმო ფინანსური კონსულტანტებისათვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან დაგეგმილი ტრენინგების სხვადასხვა საკითხების მიმოხილვას, მათ შორის ტრენინგის მეთოდოლოგიის და სასწავლო გეგმის გაცნობა, ტრენინგის ლოგისტიკა, ტრენინგის სარეგისტრაციო ფორმების შევსება და ტრენინგებთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური საკითხები.

ზემოთხსენებული 11 ფინანსური კონსულტანტიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაგეგმილ ტრენინგ პროგრამებში მონაწილეობისათვის შეირჩა 9 ტრენერი, მათ შორის:

ცხრილი #2: შერჩეული ტრენერების განაწილება რეგიონების მიხედვით

#	რეგიონი	ფინანსური კონსულტანტის სახელი და გვარი
1	კახეთი	ნანა გალახვარიძე (თელავი)
2	ქვემო ქართლი	ლევან ბანძელაძე
3	შიდა ქართლი	ლევან ბანძელაძე
4	სამცხე-ჯავახეთი	ლევან ბერიძე
5	იმერეთი	ია გოგოლაძე (სამტრედია) თამაზ კვინიკაძე და ოთარ ფანცხავა (ქუთაისი)
6	რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	ბეჟან ბარსონიძე (რაჭა) ზაურ ცვარიანი (ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი)
7	აჭარა	მაია ფეიქრიშვილი და თამთა ბერიძე (ბათუმი)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი 9 ტრენერიდან, ლევან ბანძელაძე იყო “მობილური” ტრენერი, კერძოდ მას ტრენინგების ჩატარება უწევდა არა მხოლოდ ქვემო ქართლის რეგიონში, არამედ სხვა რეგიონებშიც, მათ შორის შიდა ქართლში და კახეთში.

ტრენერების მიერ ჩატარებული ტრენინგების თარიღები, ტრენინგების ჩატარების ადგილი (მუნიციპალიტეტი), ასევე მუნიციპალიტეტების მიხედვით ტრენერების მიერ ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა მოცემულია დანართ #2-ში.

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტრენინგი ფინანსურ და საგადასახადო აღრიცხვის საფუძვლებში

ხუთ დღიანი ტრენინგ კურსი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის “ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვის საფუძვლებში“ დაიწყო 2016 წლის სექტემბრის ბოლოს. ტრენინგისათვის შემუშავებული იქნა სასწავლო გეგმა (curriculum), სადაც დეტალურად იქნა გაწერილი ტრენინგის თითოეული დღის საკითხები და შესაბამისი ინსტრუქციები და განმარტებები ტრენერებისათვის. სასწავლო გეგმის მიხედვით ტრენინგი დაიყო თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილად. ტრენინგის სასწავლო გეგმა მოცემულია დანართ #3-ში

ტრენინგისათვის შემუშავებული იქნა სახელმძღვანელოები საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის საფუძვლებში (დანართი #4), ამასთან ტრენერებისათვის და კოოპერატივებისათვის წინასწარ მომზადდა უნიფიცირებული სააღრიცხვო ფორმები (დანართი #5), რომელიც მოიცავდა საბალანსო და მოგება-ზარალის უწყისებს, ძირითადი საშუალებების აღრიცხვის და ცვეთის კალკულაციის ფორმას, სალაროს უწყისს, დივიდენდების და ხელფასის გაცემის უწყისს.

ტრენინგ ჯგუფების დასაკომპლექტებლად კოოპერატივების შერჩევა ხდებოდა „ეკოლუქსერის“ მიერ მოწოდებული სიებიდან, ამასთან კოოპერატივების შერჩევისას პირველ

რიგში უპირატესობა ენიჭებოდა სახემწიფო პროგრამებში მონაწილე კოოპერატივებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტრეინინგებისათვის კოოპერატივების შერჩევა ხდებოდა ასევე სარეზერვო სიებიდან. ტრეინინგებისათვის კოოპერატივების მობილიზაციაში, ასოციაციის თანამშრომლებთან ერთად ჩართულები იყვნენ სააგენტოს მონიტორინგის სამსახური და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები. ტრეინინგების დაგეგმარების პროცესი მოიცავდა შემდეგს:

1. ერთი კვირით ადრე ასოციაციის თანამშრომელი ტრენერებთან ათანხმებდა ტრეინინგის თარიღებს, ტრეინინგში მონაწილე კოოპერატივების რაოდენობას, ასევე ტრეინინგის ჩასატარებლად საჭირო ფართის ხელმისაწვდომობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში ტრეინინგის ჩასატარებლად ფინანსური კონსულტანტები იყენებდნენ მათ საკუთარ საოფისე ფართებს, ხოლო რიგ შემთხვევებში ტრეინინგის ჩასატარებლად გამოიყენებოდა ასევე „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების“ დარბაზები და მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზი.
2. ტრენერთან შეთანხმების შემდეგ ასოციაციის თანამშრომელი სააგენტოს მონიტორინგის სამსახურს უგზავნიდა კოოპერატივების სიას და უთანხმებდა ტრეინინგისათვის საჭირო კოოპერატივების რაოდენობას.
3. მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურთან ერთად ახდენდა საჭირო რაოდენობის კოოპერატივების შერჩევას და მათ ინფორმირებას ტრეინინგის თემატიკის, თარიღების და ჩატარების ადგილის თაობაზე და შერჩეული კოოპერატივების სიას აგზავნიდა ასოციაციაში.
4. ასოციაციის თანამშრომლები შერჩეულ კოოპერატივებს უკავშირდებოდნენ და ამოწმებდნენ იყვნენ თუ არა სათანადოდ ინფორმირებულნი დაგეგმილი ტრეინინგის თაობაზე.
5. ასოციაციის თანამშრომლების მიერ ტრენერთან იგზავნებოდა შერჩეული კოოპერატივების სია და ამოსაბეჭდად გამზადებული სარეგისტრაციო ფორმები.
6. ტრეინინგის დაწყებამდე 2 დღით ადრე ასოციაციის თანამშრომლები კიდევ ერთხელ უკავშირდებოდნენ კოოპერატივებს და ახსენებდნენ მათ დაგეგმილი ტრეინინგის თაობაზე.

ტრეინინგების მსვლელობისას ასოციაციის თანამშრომლები ყოველდღიურ რეჟიმში იღებდნენ ინფორმაციას ტრენერებიდან ტრეინინგის მიმდინარეობის თაობაზე და აწვდიდნენ შესაბამის ინფორმაციას მონიტორინგის სამსახურს. ტრეინინგის ჩატარების ადგილებზე, ტრეინინგის მიმდინარეობას საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურთან ერთად მონიტორინგს უწევდნენ ასოციაციის თანამშრომლები, რომლებიც პერიოდულად ახორციელებდნენ სავიწრო გასვლებს ტრეინინგის ლოკაციებზე.

მონაწილეები

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვის საფუძვლებში ჩატარებული ტრენინგ პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 224 კოოპერატივმა, საიდანაც 186 კოოპერატივი ტრენინგზე წარმოდგენილი იყო 2 წევრით, ხოლო დანარჩენი 38 ერთი წევრით, შესაბამისად 5 დღიანი ტრენინგი გაიარა 224 კოოპერატივის 410 წარმომადგენელმა. ტრენინგ პროგრამაში მონაწილე კოოპერატივების და მათი წევრების სია მოცემულია დანართ #6-ში.

შევსებული ორიგინალი დასწრების სია, იხ. თანდართული დოკუმენტი #1

დარიგებული ტრენინგის მასალები

ტრენინგის თითოეულ მონაწილეს გადაეცა:

- საგადასახადო აღრიცხვის სახელმძღვანელოს ამობეჭდილი ვერსია
- ბლოკნოტი და კალამი
- ტრენინგის ბოლოს გადაეცათ CD-ზე ჩაწერილი სახელმძღვანელო საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის საფუძვლებში, სააღრიცხვო ფორმები, შესყიდვის აქტი, საგადასახადო კოდექსი, საგადასახადო ინსტრუქციები (ფ/მ ბრძანება #996)

რეგისტრაციის ფორმა

რეგისტრაციის ფორმა დაურიგდათ მონაწილეებს ტრენინგის პირველი დღის ბოლოს. შევსებული ორიგინალი დასწრების ფორმები თან ერთვის წინამდებარე ანგარიშს.

ორიგინალი რეგისტრაციის ფორმები არის თანდართული დოკუმენტი #2.

საბოლოო ცოდნის ტესტები

ტრენინგის მეხუთე დღეს, ფინანსურმა კონსულტანტებმა ტრენინგის ყველა მონაწილეს შეავსებინეს საბოლოო ცოდნის ტესტი (ნიმუში იხ. დანართ #7-ში)

ტრენინგის ანგარიში

იხ. ცალკე შეკვრა (პროექტს გადაეცემა თებერვლის თვეში)

დანართი #1: ტრენერის ანგარიში (ელექტრონული ვერსია ინგლისურ და ქართულ ენაზე)

დანართი #2: ტრენერების მიერ ჩატარებული ტრენინგების თარიღები, ტრენინგების ჩატარების ადგილი (მუნიციპალიტეტი), მუნიციპალიტეტების მიხედვით ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა (ელექტრონული ვერსია ინგლისურ და ქართულ ენაზე)

დანართი #3: ტრენინგის სასწავლო გეგმა - Curriculum ((ელექტრონული ვერსიაა ქართულ ენაზე)

დანართი #4: სახელმძღვანელოები საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის საფუძვლებში (ელექტრონული ვერსია ქართულ ენაზე)

დანართი #5: უნიფიცირებული სააღრიცხვო ფორმები (ელექტრონული ვერსია ქართულ ენაზე)

დანართი #6: ტრენინგ პროგრამაში მონაწილე კოოპერატივების და მათი წევრების სია რაოდენობა (ელექტრონული ვერსია ინგლისურ და ქართულ ენაზე)

დანართი #7: საბოლოო ცოდნის ტესტი (ელექტრონული ვერსია ქართულ ენაზე)

თანდართული დოკუმენტი #1: ორიგინალი დასწრების სია ხელმოწერებითურთ

თანდართული დოკუმენტი #2: ორიგინალი რეგისტრაციის ფორმები

თანდართული დოკუმენტი #3: ToT ტრენინგის ორიგინალი დასწრების სია ხელმოწერებითურთ